ბრძანება

06 ოქტომბერი 2017 წ. თბილისი № 128/01

კლინიკური ორდინატურა დამთავრებული მაძიებლებისთვის, რომლებსაც უცხოეთში აქვთ მიღებული დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება), დამატებითი კურსის მოდულებით გავლის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე–14 მუხლის, “საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–15 მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს “პროფესიული განვითარების საბჭოს” 27 ივლისის №7 სხდომის ოქმის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის № 01-42 ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 9 აპრილის 4 №135/ნ და 2017 წლის 2 აგვისტოს № 01-51/ნ ბრძანებების, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორის ზ. ბოხუას 2017 წლის 02 ოქტომბრის № 1188501 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. კლინიკური ორდინატურა დამთავრებულ მაძიებლებს, რომლებსაც უცხოეთში მიღებული აქვთ დიპლომისშემდგომი განათლება (კლინიკური ასპირანტურა ან კლინიკური ორდინატურა), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის № 01-42 ბრძანების შესაბამისად, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დამატებითი კურსის შემადგენელი მოდულების გასავლელად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები:

   - განცხადება;
   - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული წერილი, უცხოეთში მიღებული დიპლომისშემდგომი განათლების აღიარების შესახებ;

- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომის ასლი;
- უცხოეთში მიღებული დიპლომისშემდგომი განათლების–კლინიკური ასპირანტურის ან კლინიკური ორდინატურის გავლის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- მოდულით მზადების საფასურის გადახდის ქვითარი.

2. ორდინატურა დამთავრებული მაძიებლების მზადება განხორციელდეს უნიფიცირებული დამატებითი კურსის შემადგენელი მოდულებით.
3. დამატებითი კურსის შემადგენელი მოდულების განხორციელება მიმდინარეობს აკრედიტებულ საუნივერსიტეტო კლინიკებსა და უნივერსიტეტთან აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებში, მინიჭებული კვოტის ზემოთ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების №01-51/ნ შესაბამისად.
4. დიპლომისშემდგომი განათლების კურსის შემადგენელი მოდულის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სპეციალობის მაძიებელს ეძლევა შესაბამისი მოდულის გავლის დამადასტურებელი მოწმობა.
5. უნივერსიტეტის ბაზებზე დამატებითი კურსის შემადგენელი მოდულების განხორციელებაზე პასუხისმგებელია: მოდულზე პასუხისმგებელი პირი.
6. დაევალოს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორს ზ. ბოხუას შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება.
7. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, ვიცე-რექტორებს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტს, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორს (ზ. ბოხუა), საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს (დ. დელიბაშვილი), კადრების სამსახურს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი